სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N0904/452

ქ. თელავი 06 სექტემბერი 2019 წ.

ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი გამგებლის გივი მეტრეველის სახით და მეორეს მხრივ შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინი", მისი დირექტორის ზურაბ ფეიქრიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სოფელ კურდღელაურში ცენტრალური დაზიანებული მოასფალტებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად.

2.2 სატენდერო განცხადების ნომერი **SPA130017340.**

2.3 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 45233142 – გზის შეკეთების სამუშაოები.

2.4 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი.

2.5 დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 296610 (ორას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ექვსას ათი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სამუშაოს მიწოდება ტექნიკურ დოკუმენტაციაში განსაზღვრული სამუშაოს მიწოდების ვადების, მოცულობების და პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

დ) წარმოადგინოს შესრულებულ სამუშაოებზე, საკონტროლო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საექსპერტო დასკვნა.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

გ)უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5. საგარანტიო პირობები

5.1 მიწოდებულ სამუშაოზე სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადაა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ორმოცულ შეკეთებაზე 1 წელი, წვრილმარცვლოვანი და მსხვილმარცვლოვანი საფარის მოწყობაზე 3 (სამი) წელი.

5.2 საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას მის მიერ არაკეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაოს დეფექტი, ხარვეზი.

5.3 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია PE30713-13, გაცემული სს „საქართველოს ბანკი"-ს მიერ 04.09.2013 წ.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია პერიოდულად, როგორც სამუშაოს მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შესაბამისი დარგის უფლებამოსილი ექსპერტი, რომლის მომსახურების უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

6.3 ინსპექტირების განმახორციელებელი ექსპერტი, ვალდებულია ჩაატაროს როგორც სამშენებლო მასალის ხარისხის კონტროლი, ასევე დაადგინოს შესაბამისობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მოცულობებსა და მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობებს შორის. თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი, მიმწოდებელი ვალდებულია 20 (ოცი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული სამუშაოს ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

სამუშაოს მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით, მიღება-ჩაბარების აქტი, როგორც ეტაპობრივი, ასევე საერთო ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული სამუშაოს ღირებულება საექსპერტო დასკვნის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.3 საავანსო აწგარიმსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობის შესაბამისად, არაუმეტეს სატენდერო წინადადების ფასის 30%-ისა, იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის საფუძველზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 პუნქტით განსაზღვრული სამუშაოს მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მოტივაციისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განსორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (თუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, წესისმიერი მხარე დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 15 დეკემბრამდე.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 15 ნოემბრამდე.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, სამუშაოს მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1 ელექტრონული ტენდერის (SPA130017340) „ტექნიკური დოკუმენტაციის" და „შეფასების ველში" ატვირთული დოკუმენტები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართებს.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

თელავის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თელავი, ერეკლე მე-2-ს გამზ. N16
სს ლიბერთი ბანკი
ანგ. №GE31LB0120198781126000
ბანკის კოდი: LBRTGE22
სკ 231280093
ტელ: 0(350)72300

გამგებელი
გივი მეტრეველი

__________________ ბ.ა.

მიმწოდებელი:

შპს საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია „სერპანტინი"
მის: ქ. თელავი, ფალიაშვილის ქ. N27
სს საქართველოს ბანკი
ა/ნ GE96BG0000000181255901
ბანკის კოდი BAGAGE22
ს.კ. 231165529
ტელ: 555441805

დირექტორი
ზურაბ [illegible]

__________________ ბ.ა.